


სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ღრმად და დეტალურად განიხილა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხები, დასახა ძირითადი ღონისძიებანი მის გადასაყვანად ინტენსიფიკაციის რელსებზე, რომელიც დაეყრდნობა ისეთ მძლავრ ძალებს, როგორიცაა ქიმიზაცია, მორწყვა, ელექტრიფიკაცია, პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების აქტიური დანერგვა. საბჭოთა საქართველოს სოფლის მშრომელების მთელი ძალღონე მიმართულია იმისაკენ, რომ წარმატებით განახორციელონ პლენუმის დადგენილება.

ფურცელი 1

საქდესის ფოტოქრონიკა

# მორწყვა

„ჩვენ დასახული გვაქვს დიდი სამუშაოები სარწყავი მიწათმოქმედების გაფართოებისათვის".

ნ. ს. ხრუშჩოვი


თელეთის სარწყავი სისტემის ერთი უბანი


მაგისტრალური არხის გაყვანა


ტუმბური სადგური

თელეთის სარწყავი სისტემის მშენებლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას. აქ დაიწყეს მაგისტრალური ხაზის გაყვანა კუმისის ტბამდე, რის შედეგად ეს საირიგაციო ნაგებობა შესაძლებელს გახდის დამატებით მორწყას 800 ჰექტარი გვალვიანი მიწა.



საქდესის ფოტოქრონიკა

# 200 ათასი ტონა ჩაის ფოთლისათვის

„თავიანთი სახელოვანი შრომითი გამარჯვებებისათვის საქართველოს ჩაის პლანტაციების მშრომელებმა ორი წელია ზედიზედ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაღალი შეფასება, რაც გამოიხატა მათი გულითადი მილოცვებით.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით პირობა მივცე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ საქართველოს მეჩაიეების მიერ ნაკისრი ვალდებულება შესრულდება—ჩვენი ქვეყანა 1965 წელს მიიღებს სულ ცოტა 200 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს".

ვ. პ. მჟავანაძე *(ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობაზე)*





ლანჩხუთის სამმართველოს ქვემო-აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე ც. ასათიანი

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარა ყუფუნია თავის ბრიგადის მეჩაიეებთან

საქართველოს მეჩაიეები თავგამოდებული შრომით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს. თავიანთ შრომაში ისინი ფართოდ იყენებენ მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას.



საქდესის ფოტოქრონიკა

# პლანტაციების ხელოვნური მორწყვა


ეროვნული ბიბლიოთეკა



დასახულია მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების ხელოვნური მორწყვისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ჩაის ფოთლის მოსავალი.

სურათებზე: ჩაის პლანტაციების ხელოვნური მორწყვა მახარაძის საწარმოო სამმართველოში (ზედა სურათი) და ზუგდიდის სამმართველოს ინგირის საბჭოთა მეურნეობაში.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მეჩაიეებს—სრულყოფილი მანქანები

ეროვნული ბიბლიოთეკა



«საქართველო» აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში

ქართველმა კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო". ასი ასეთი მანქანა შარშან წარმატებით მუშაობდა ჩაის პლანტაციებში. მათ შეასრულეს იმდენი სამუშაო, რამდენსაც ჩაის ფოთლის ხელით კრეფის დროს დაჭირდებოდა 290 ათასი შრომადღე. მრეწველობა გამოუშვებს კიდევ სამას ამგვარ მანქანას.



თბილისის ქარხანა «საქსოფლმანქანის» საამწყობო საამქრო. აქ აწყობენ ახალ მანქანებს «საქართველოს»



ქარხნის ამწყობი-ზეინკალი ი. აბაშიძე (მარჯვნივ) და უფროსი ოსტატი დ. შამათავა



საქდესის ფოტოქრონიკა

# ხეხილის წარმოება გაიზრდება სამჯერ

1965 წლისათვის ბაღების ფართობი გაიზრდება ორჯერ და კიდევ უფრო მეტად. 1970 წლისათვის ხეხილის მოსავალი გადიდდება სამჯერ. სწრაფი ტემპით გასაშენებელი ბაღების ხარისხობრივი დასარგავი მასალით უზრუნველყოფისათვის ფართოდ იყენებენ მეცნიერების მიერ რეკომენდირებულ ნარგავების დაჩქარებულად გამოზრდის მეთოდს. ხეხილის ნარგავების გამოზრდის ვადა მცირდება ორი წლით.



ბაღების მწკრივთაშორისების დამუშავება სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში



გორის საწარმოო სამმართველოს სოფელ ფლავის კოლმეურნეობა «ჩვენი შრომის» მებაღე ნ. არჩვაძე



ბაღების მკურნალობა გორის საწარმოო სამმართველოს სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობაში



საქდესის ფოტოქრონიკა

# მეცნიერები — მეჩაიეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე ჩაის პლანტაციის საცდელ ნაკვეთზე.



საქართველოს მეცნიერებმა გამოიყვანეს ჩაის ახალი ჯიშები, დაამუშავეს აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც განუწყვეტლივ მდიდრდება მეცნიერების მიღწევებით, მოწინავე პრაქტიკის გამოცდილებით.



ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის თანამშრომლები ვ. კუტუბიძე (მარცხნივ) და ვ. ძლენტი არჩევენ ჩაის თესლს.

ფურცელი 7

საქდესის ფოტოქრონიკა

# ბრძოლა სეტყვის წინააღმდეგ

საქართველოს მეცნიერები ზოგიერთ საკავშირო ორგანიზაციებთან ერთად ატარებენ სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოკვლევას სამრეწველო მევენახეობის ზონაში. მიღწეულია მეტად ეფექტური შედეგები. წელს სეტყვისაგან დაცვის ზომები გამოყენებული იქნება 150 ათას ჰექტარზე.



შექუჩებული ღრუბლები სეტყვის საწინააღმდეგო ნაკეთობის ზემოქმედების წინ



სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტის გაშვება



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ალაზნის სეტყვის საწინააღმდეგო ექსპედიციის უფროსი ა. ი. ქარცივაძე საკომანდო პუნქტზე



იგივე ღრუბლები ზემოქმედების შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მევენახეობის განვითარებისათვის



ვენახების მკურნალობა ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში



ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მევენახე მ. წიკლაური

ხელსაყრელი კლიმატური პირობების და მიწის უფრო ინტენსიური გამოყენებისათვის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კურსი აიღეს მევენახეობისა და მებაღეობის ყოველმხრივ განვითარებაზე. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაისახეს 1965 წლისთავის ვენახების და ბაღების ფართობი გაადიდონ ორჯერ.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკურელ მევენახეთა სიტყვა





ეროვნული ბიბლიოთეკა

350 ჰექტარი უკავია ვენახებს თელავის საწარმოო სამმართველოს სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“. წელს აქ კიდევ გააშენეს ვაზი 60 ჰექტარზე. არტელის მევენახეებმა იკისრეს მიმდინარე წელს თითოეულ მსხმოიარე ჰექტარზე ნაცვლად 55 ცენტნერისა მიიღონ სულ ცოტა 60 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეობაში წარმატებით ჩაატარეს ახალი ვენახების მწკრივთაშორისების მექანიზებული კულტივაცია. ამ საქმეში თავი ისახელა ტრაქტორისტმა ფ. ბაგრატაშვილმა.

სურათებზე: ახალი ვენახების კულტივაცია, მარცხნივ—სოფელ აკურის არტელის მექანიზატორი ფ. ბაგრატაშვილი.



საქდესის ფოტოქრონიკა

# 13 მილიონ 500 ათასი ფუთი მარცვლისათვის



ქერის თესვა მცხეთის სამმართველოს სოფელ მეტეხის კოლმეურნეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ მეტეხის არტელის აგრონომი ნინა რევაზიშვილი და ინსპექტორ-პარტორგანიზატორი ოთარ მაღალაშვილი





შარშან საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 მილიონ 337 ათასი ფუთი მარცვალი. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს სიღნაღისა და გორის საწარმოო სამმართველოებმა. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს წელს კიდევ უფრო გაადიდონ მარცვლის საერთო მოსავალი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 13.500.000 ფუთი მარცვალი.

სახელგანთქმული მესიმინდე კოტე სანდუხაძე



საქდესის ფოტოქრონიკა

# მინერალური სასუქები—მინდვრებში

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში საშემოდგომო ნათესებს 1520 ჰექტარი უჭირავს. არტელის მემინდვრეებმა გადაწყვიტეს წელს თითოეულ ჰექტარზე ნაცვლად 18 ცენტნერისა მოიწიონ 22 ცენტნერი ხორბალი. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნათესებში სასუქების დროულად შეტანას. დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო ავიაციის თვითმფრინავები.

სურათებზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ძანაშვილი (ცენტრში) დავალებას აძლევს პილოტებს რ. მამათავრიშვილს და ფ. ბორისკინს. მარცხნივ—თვითმფრინავი ასრულებს დავალებას.





# მეცხოველეობის მეტი პროდუქტები

„იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში მინერალური სასუქები და სხვა ქიმიური საშუალებანი, საჭიროდ ჩაითვალოს 1964—1965 წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ერთიანი აგროქიმიური სამსახურის შექმნა“.

*(სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებიდან)*



გაგრის მერძევეობა-მებოსტნეობის მწველავი ე. ლეშჩევა



მეგუთის საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის ფერმა



რესპუბლიკის წარჩინებული მელორე დავით სეფიაშვილი

საქართველოს მეცხოველეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ 1965 წლისათვის ხორცის წარმოება ნაკლავ წონაში აიყვანონ 95 ათას ტონამდე, რძის—488 ათას ტონამდე, კვერცხის 320 მილიონ ცალამდე, მატყლის 4.937 ტონამდე.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაცია





ჯანდრის სასუქებელი მეურნეობა



მოწინავე მწყემსი ალი მუსტაფა-ოღლი

უკანასკნელი წლების მანძილზე მეცნიერებმა და მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციისათვის. მაგალითად, ჯანდრის გარეუბნის სასუქებელ პუნქტში პირუტყვის მოვლის და კვების ყველა პროცესი მექანიზებულია.

პირუტყვის მექანიზებული კვება

# მეცხვარეობის ფერმაში





ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯიბაანის კოლმეურნეობას 8 ათასი სული ცხვარი ჰყავს. მეცხვარეები, რომელთაც ფერმის გამგე ნ. თოფჩიშვილი ხელმძღვანელობს, თითოეულ ას ნერბზე ნაცვლად 95 ბატკნისა 100 ბატკანს იღებენ. ფერმაში უკვე გაჩნდა პირველი ორი ათასი ბატკანი. მეცხვარეები მთელ ნამატს უდანაკარგოდ ინარჩუნებენ.

სურათებზე: მარცხნივ—სოფელ ჯიბაანის კოლმეურნეობის მეცხარეობის ფერმის გამგე ნ. თოფჩიშვილი, ზევით—საძოვრებზე.

# ხელოვნური განაყოფიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადგურის დირექტორი ზ. ედე-შერიძე და ლაბორანტი ზ. გახა-შვილი ატარებენ ლაბორატორულ ანალიზს

თელავის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური განაყოფიერების და საჯიშე საქმის სახელმწიფო სადგური მომსახურებას უწევს თელავისა და ყვარელის საწარმოო სამმართველოების 60 მეტ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას. ხელოვნური განაყოფიერებით უზრუნველყოფილი იქნება 8 ათასი ძროხა და 10 ათასი ნერბი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პირუტყვის ჯიშიანობა, გაიზრდება მისი პროდუქტიულობა.

# ქიმია მეცხოველეობაში

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტში დამუშავებულია მთელი რიგი პრეპარატები და ვაქცინები, რომელთა გამოყენება დაიცავს ცხოველებს დაავადებისაგან და აამაღლებს პირუტყვის პროდუქტიულობას, ამ პრეპარატებს ეკუთვნის დარიშხან-მჟავე კალა, ჰელმინთოციდის კონცენტრატები, ფენოთიაზინის ბრიკეტები და სხვა.



ბაქტერიოლოგ დ. გოგოლაძეს გამოჰყავს ბაქტერიის კულტურა



ცხვრის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის საკონტროლო გამოცდა



პრეპარატების ნიმუშები



საქდესის ფოტოქრონიკა

# ნიადაგთა გაკირიანება

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ო. კაჭარავა და ლაბორანტი ა. კაშირსკაია იკვლევენ შაქრის ოდენობას ციტრუსოვანთა ნაყოფში პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების შეტანის შემდეგ

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის აგროქიმიური განყოფილების თანამშრომლებმა ხანგრძლივი ცდების შემდეგ გამოიკვლიეს, რომ იმ ციტრუსოვანთა მოსავლიანობაზე, რომლებიც გაშენებულია მჟავე ნიადაგებზე, დიდ ზეგავლენას ახდენს ნიადაგთა გაკირიანება. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გაკირიანების გამოყენების შედეგად მიაღწია ციტრუსოვანთა მოსავლიანობის 30 პროცენტით გადიდებას.

# უზრუნველვყოთ მოსახლეობა კარტოფილით



1963 წელს რესპუბლიკაში დაამზადეს 20 ათასი ტონა კარტოფილი. ამ საქმეში თავი ისახელეს ახალციხელმა მებოსტნეებმა. დასახულია ღონისძიებანი, რაც შესაძლებელს გახდის უახლოეს ორ-სამ წელში საქართველო უზრუნველყოფილი იქნეს საკუთარი წარმოების კარტოფილით.

სურათებზე: კარტოფილის თესვა გარდაბნის საწარმოო სამმართველოს რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობაში. მარჯვნივ—პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ისმაილოვი, მეურნეობის დირექტორი გ. დევდარიანი და ბრიგადირი ნ. ასთანოღლი ამოწმებენ სათესლე კარტოფილს.

# ჰიდრომექანიზმების ქარხანაში



აქ აწყობენ მიწასაწოვი დანადგარების კორპუსებს



კომუნისტური შრომის კოლექტივის ბრიგადირი გ. ტყებუჩავა (მარცხნივ) და ზეინკალი ნ. გაღუა აზუსტებენ მიწასაწოვი იარაღის აწყობის სქემას

დაჭაობებული მიწების ამოსაშრობად ფოთის ჰიდრომექანიზაციის ქარხანა უშვებს სხვადასხვა მანქანას. მიწასაწოვ იარაღებს ჰზუ-8მ და სხვებს წარმატებით იყენებენ მელიორაციისათვის საქართველოში და მის ფარგლებ გარეთ. საწარმოს კოლექტივმა, რომელიც ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გადაწყვიტა 1964 წელს კიდევ გამოუშვას ორი ახალი მარკის მიწასაწოვი იარაღი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავადიდოთ ბოსტნეულის წარმოება



კრწანისის საბჭოთა მეურნეობის მუშა ე. მესხიშვილი

სათბურის მეურნეობის მუშები შ. ჯიქია და ა. ბახტაძე ათვალიერებენ კიტრის ნერგებს, რომლებიც გამოიყვანეს ჰიდროპონიკის წესით

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ქალაქებისა და კურორტების მომარაგებას ბოსტნეულით და კარტოფილით. ამ საქმეში განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვს კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას. აქ დაიწყეს ბოსტნეულის მოყვანა ახალი პროგრესული ჰიდროპონიკის სისტემით ნიადაგის გამოუყენებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებულმა კრწანისის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს მნიშვნელოვნად გაადიდონ ბოსტნეულის წარმოება.

# მანქანები სამთო მიწათმოქმედებისათვის



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოსტნეული კულტურების ექვს-მწკრივიანი სათესი მანქანა

საკონსტრუქტორო ჯგუფის ხელმძღვანელი ა. კობახიძე და ინჟინერი ნ. ანთიძე სშ-50 ტიპის თვითმავალ შასსთან

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ამუშავებენ სამთო ტრაქტორების, უნივერსალური თვითმავალი შასის და მთის ფერდობების ასათვისებელი მანქანების კონსტრუქციებს. ასეთი მანქანები გამოყენებული იქნება ჩაის, ციტრუსების, ვენახების და სხვა კულტურების გასაშენებლად.



სექტორის უფროსის მოადგილე შ. დარჯანია, უფროსი ინჟინერი ლ. გოდოკია და ჯგუფის ხელმძღვანელი ს. რამიშვილი აკეთებენ ჩაის საკრეფი მანქანის «საქართველოს» კონსტრუქციის კორექტირებას



საქდესის ფოტოქრონიკა




დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს დაფნის ფოთლის წარმოებას. 1962-1963 წლებში რესპუბლიკაში დაამზადეს ორი ათას ტონაზე მეტი მშრალი ფოთოლი. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს ზუგდიდის სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს ათას ტონაზე მეტი დაფნის ფოთოლი. უახლოეს 2—3 წელში ამ კულტურის დამზადება მნიშვნელოვნად გაიზრდება.

# აგროქიმიურ ლაბორატორიაში

„მხოლოდ მაშინ, როცა მშრომელთა ფართო მასებს ეცოდინებათ თუ რას იძლევა ქიმია, ეცოდინებათ ქიმიური გზით შექმნილ მასალათა თვისებები და ღირსება, მოხერხებულად მოიხმარენ მათ საქმეში, შეიძლება გამოვიყენოთ ის მდიდარი შესაძლებლობანი, რასაც გვაძლევს ქიმია".

ნ. ს. ხრუშჩოვი





ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები წარმატებით ეუფლებიან აგროქიმიურ ცოდნას.

სურათებზე: სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის აგროქიმიური სკოლის ხელმძღვანელი გ. ქარჩავა ატარებს მორიგ მეცადინეობას. მარცხნივ—ქობულეთის ლაბორატორიის აგროქიმიკოსი ლ. ქლენტი.



საქდესის ფოტოქრონიკა

„მეცხოველეობის ინტენსიური წარმოების, ას ჰექტარ მიწაზე ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების გამოსავლიანობის გადიდების გადამწყვეტი პირობაა პირუტყვის უზრუნველყოფა მრავალფეროვანი და სრულფასოვანი საკვებით".

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებიდან)

# აგროქიმიური ცოდნა—მასებს



ლაბორატორიის გამგე დ. კოკალიანი, ლაბორანტი ი. ქაჯაია და აგროქიმიკოსი ვ. გალაბაევა ცდების ჩატარების დროს

ნაყოფიერად მუშაობს ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს აგროქიმიური ლაბორატორია. ლაბორატორიის სპეციალისტები ატარებენ მინერალური სასუქების სხვადასხვა დოზის და მიკროელემენტების გამოცდას, აძლევენ მეურნეობებს სათანადო რეკომენდაციებს.



ლაბორანტი გ. წულაია ანალიზის ჩატარებისას

ეროვნული ბიბლიოთეკა